აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის საქმიანობის 01.09.2017 – 01.09.2018 პერიოდის

ა ნ გ ა რ ი შ ი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში ასახულია 2017 წლის 01 სექტემბრიდან 2018 წლის 01 სექტემბრის მდგომარეობით კომიტეტის მიერ მომზადებული და ინიცირებული საკანონმდებლო საქმიანობის ნუსხა, განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების, მოსახლეობასთან და სამედიცინო დაწესებულებების პერსონალთან შეხვედრების შესახებ ინფორმაცია.

კომიტეტის თავმჯდომარე	**ნუგზარ სურმანიძე**
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე	**გიორგი მანველიძე**
კომიტეტის წევრები:	**ილია ვერძაძე**
	დავით თედორაძე
	დავით ბაციკაძე
	ზაზა ოქუაშვილი
	გიორგი დიასამიძე

კომიტეტის აპარატი

აპარატის უფროსი	**ლეილა ღოღობერიძე**
თავმჯდომარის თანაშემწე	**სოფიო კობალაძე**
უფროსი სპეციალისტი	**კახა ფუტკარაძე**
უფროსი სპეციალისტი	**მარინე მანელიშვილი**
უფროსი სპეციალისტი	**ინგა რომანაძე**

კომიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, ამოცანები და ფუნქციები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი შექმნილია უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადით, რომელიც მუშაობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციით, "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

კომიტეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებდა საკანონმდებლო საკითხების წინასწარ მომზადებას, უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობას, უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და მთავრობის საქმიანობის კონტროლს.

კომიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულება გახლდათ, რეგიონის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, რისთვისაც უპირველეს ამოცანად მივიჩნევდით ჯანდაცვის მართვის ორგანიზაციაში თანამედროვე მეთოდებისა და პრინციპების დანერგვას. ჩვენი საქმიანობის ძირითადი ორიენტირი იყო ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების პროგრამების შემუშავებაში, განხილვასა და დამტკიცებაში აქტიური მონაწილეობა, რაც მიზნად ისახავდა მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების პაკეტის მიწოდებას, რომელიც რეგიონის ეკონომიკური შესაძლებლობიდან გამომდინარე მაქსიმალურად უზრუნველყოფდა ჯანმრთელობის დაცვის კუთხით მოსახლეობის მოთხოვნებსა და ინტერესებს.

კომიტეტის სხდომების სტატისტიკა

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი საანგარიშო პერიოდში მუშაობას წარმართავდა კომიტეტის წევრების მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე შემუშავებული პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესაბამისად.

კომიტეტის სამუშაო გეგმა მოიცავდა, როგორც კანონშემოქმედებით, ასევე უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და ჯანდაცვის სისტემაში შემავალი დაწესებულებების ხელმძღვანელთა ინფორმაციებსა და ანგარიშებს. ასევე სხდომაზე პერიოდულად იხილებოდა სხვადასხვა აქტუალური საკითხები.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია სულ 14 სხდომა. მათ შორის:

- კომიტეტის სხდომა – 9;
- კომიტეტების ერთობლივი სხდომა – 4;
- გასვლითი სხდომა – 1 (ბათუმის საერთაშორისო საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი BAU).

ასევე კომიტეტს ჰქონდა 3 სამუშაო შეხვედრა, რომელზეც მოსმენილი იქნა შემდეგი ინფორმაციები:

1. აჭარის ავტონომური რესპუბლიკის ჯანმრთელბისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისა და სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელთა ინფორმაცია სეზონური ვირუსული დაავადებების შემთხვევათა მატებასთან დაკავშირებით;

2. სსიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელის ინფორმაცია C (HCV) ჰეპატიტის პროგრამის მიმდინარეობისა და შედეგების თაობაზე;

3. სსიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ორგანიზებით გამართული შეხვედრა აჭარის რეგიონში ნულოვანი ტუბერკულოზის ინიციატივის ფარგლებში, რომლის მიზანია შეიქმნას ელიმინაციის კუნძულები, რაც საწყის ეტაპზე ხელს შუწყობს ტუბერკულოზის გავრცელების შემცირებას.

სულ კომიტეტის სხდომებზე განხილული იქნა 22 საკითხი, აქედან:

- კანონპროექტი და დადგენილება _ 9;
- საქართველოს პარლამენტიდან შემოსული კანონპროექტი _ 13;
- სხვადასხვა უწყებისა და დაწესებულების ხელმძღვანელთა ანგარიში და ინფორმაცია - 8.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტის მიერ სხვადასხვა საკანონმდებლო ინიციატივის თაობაზე მომზადებულია 20 დასკვნა.

კომიტეტში შემოსული განცხადებების, წერილების, კორესპონდენციების და მოქალაქეთა მიღების სტატისტიკა

კომიტეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში მუდმივ დახმარებას უწევდა მოსახლეობას სხვადასხვა პრობლემების გადაჭრაში.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტში შემოსულია 159 წერილი, აქედან მოქალაქეთა განცხადება - 87, საქართველოს პარლამენტიდან შემოსული კანონპროექტი _ 13, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონპროექტი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი _ 9 და სხვადასხვა უწყებებიდან და ორგანიზაციებიდან _ 50.

მოქალაქეთა განცხადებების უმრავლესობა მოიცავდა სამედიცინო სფეროს, ნაწილი ითხოვდა სოციალურ დახმარებას, ხოლო შედარებით მცირე ნაწილი მოითხოვდა დასაქმებას.

კომიტეტში შემოსული ყველა განცხადება კომიტეტის აპარატის მიერ აყვანილი იყო კონტროლზე და შესწავლილი იქნა დადგენილ ვადებში. განცხადებების დიდი ნაწილი რეაგირებისათვის გადაეგზავნა შესაბამის უწყებებს, საიდანაც მიღებულია პასუხები მათ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე.

მოქალაქეთა განცხადებებში დასმული საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტის მიზნით დანერგილი გვქონდა მათი კომიტეტის სხდომებზე განხილვის პრაქტიკა.

გარდა ამისა საანგარიშო პერიოდში კომიტეტში მიღებაზე იყო 167 მოქალაქე, კომიტეტში შემოსული განცხადებებიდან ნაწილი ეხებოდა მოქალაქეთა მკურნალობას, ნაწილი კი სოციალურ პრობლემებს. ყველა მოქალაქეს ჩვენი კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში გაეწია შესაძლო დახმარება.

აღსანიშნავია, რომ კომიტეტის უშუალო ჩარევით, სახელმწიფო და ადგილობრივი სამედიცინო პროგრამების ფარგლებში დახმარება გაეწია და ოპერაციული მკურნალობა დაუფინანსდა 255 მოქალაქეს (განცხადების გარეშე).

სამოქალაქო სექტორთან ურთიერთობა

კომიტეტის საქმიანობის ერთ–ერთ ძირითად პრიორიტეტად მიჩნეულია კომიტეტის წევრების მოსახლეობასთან, ჯანდაცვის სფეროში დასაქმებულ მედპერსონალთან, პრესისა და მასმედიის წარმომადგენლებთან ურთიერთ–თანამშრომლობა, არსებული პრობლემების შესწავლა და მათზე რეაგირება.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტის წევრებსა და აპარატის თანამშრომლებს შეხვედრები ჰქონდათ სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებების მედპერსონალთან. აღნიშნული შეხვედრების ძირითადი მიზანი გახლდათ საფუძვლიანად შეგვესწავლა ის პრობლემები, რომელთა გადაჭრის გარეშე ჯანდაცვის სფეროში სახელმწიფო რეფორმების გატარება და მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლებელი იქნება.

შეხვედრის დროს დასმული იქნა სხვადასხვა პრობლემური საკითხი, რომელთა უმრავლესობა ეხებოდა სამკურნალო დაწესებულებების კვალიფიციური სამედიცინო კადრების სიმცირის, სახელფასო განაკვეთების გაზრდის და ექიმამდელი სამედიცინო დახმარების პუნქტების (სოფლის ამბულატორია) რეაბილიტაციის და სამედიცინო დაწესებულების წინაშე სოციალურად დაუცველ პაციენტთა დავალიანებების საკითხებს, რომელთა უმეტესი ნაწილი მოგვარებული იქნა. ერთ-ერთ პრობლემურ საკითხად რჩება პაციენტთა ინფორმირებულობა და კომუნიკაცია, რის გადაწყვეტაზეც სამკურნალო დაწესებულებების და შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელობასთან ინტენსიურად ვთანამშრომლობთ.

საანგარიშო პერიოდში, როგორც უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარმა დეპუტატმა შეხვედრები გამართა მუნიციპალიტეტების მოსახლეობასთან. შეხვედრების დროს ეცნობოდა იმ პრობლემებს, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას აწუხებდა და საჭიროებდა გადაწყვეტას. კერძოდ:

- მიწის რეგისტრაცია;
- „ხელმისაწვდომი საცხოვრისით“ სარგებლობის პროგრამაში ჩართვა (ქ.ბათუმი);
- ავარიული საცხოვრებელი სახლის შეკეთება (გონიო);
- სასმელი წყლის პრობლემის მოგვარება (დაბა ხელვაჩაური);
- გზის საფარის დაგება (გონიო).

ზემოაღნიშნული პრობლემების უმეტესი ნაწილის გადაწყვეტაზე მუშაობა მიმდინარეობს.

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ'' აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 28-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროში მოქალაქეთა მიღება მიმდინარეობს ყოველი კვირის ოთხშაბათს 14-საათიდან 18-საათამდე (ქ. ბათუმი ლუკა ასათიანის ქუჩა №25-ში).

მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროში მიღებაზე იმყოფებოდა 80 მოქალაქე, შემოსულია 21 განცხადება, თითოეული მათგანი შესწავლილი და რეაგირებული იქნა დადგენილ ვადებში.

კომიტეტის მიერ ორგანიზებული ღონისძიებები:

- 2017 წლის 27 ნოემბერს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტისა და ბაუ-ს (BAU) საერთაშორისო უნივერსიტეტის ერთობლივი ორგანიზებით ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტ ბაუ-ში (BAU) გაიმართა

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელზეც ლივ ჰოსპიტალი-ის (Liv Hospital) ჯგუფის კოორდინატორმა მერი ისტიროტმა, წამყვანმა სპეციალისტებმა ჩაღათაი ოზთურქმა და ქემალ დოლაიმ ქართველ კოლეგებს თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს. ასევე ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს და ბათუმის საერთაშორისო საუნივერსიტეტო ჰოსპიტალის პარტნიორი თურქეთის ცნობილი სამედიცინო კლინიკების ქსელი ლივ ჰოსპიტალი (Liv-Hospital) გახდა, რომელიც შეთანხმების ფარგლებში მედპერსონალს გადაამზადებს;

- 20018 წლის 3 აგვისტოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტისა და ბაუ-ს (BAU) საერთაშორისო უნივერსიტეტის ერთობლივი ორგანიზებით, რეგიონის ექიმებისთვის გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სასწრაფო სამედიცინო დახმარება სიცოცხლის გადასარჩენად“. კონფერენციის თემები იყო: გულის სასწრაფო გადაუდებელი მდგომარეობები, სასწრაფო გადაუდებელი დახმარება კარდიოქირურგიაში, მწვავე მდგომარეობათა მართვა ზოგად ქირურგიაში, გადაუდებელი მდგომარეობები ნევროლოგიასა და ნეიროქირურგიაში. კონფერენციაში მონაწილეობას ღებულებდნენ ცნობილი ექიმები: ბაუ-ს (BAU) საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი, მედიცინის დოქტორი, კარდიოლოგი - ისმეთ დინდარი-მიქელაძე, პროფესორი, დოქტორი, კარდიო-ქირურგი - ერგუნ დემირსოი, ზოგადი ქირურგი, პროფესორი, დოქტორი - სადექ ილდირიმი, ასოცირებული პროფესორი, ნევროლოგი - ქაან იალთირიქი და ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე ჰუსამეთინ ოლგუნი.

- 2018 წლის 16 ივნისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის ორგანიზებითა და ბათუმის რეფერალური საავადმყოფოს სისხლის ბანკის ინიციატივით, დონორთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, უმაღლეს საბჭოში სისხლის უანგაროდ ჩაბარების აქცია გაიმართა.

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის ინიციატივითა და ომეგა მოტორ სითის მხარდაჭერით ფინანსური დახმარება გაეწია „განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრის“ - თამარის დასახლების დღის ცენტრის ბენეფიციარებს.

კომიტეტის ეგიდითა და კორპორაცია ევექსის მხარდაჭერით ჩატარდა:

- უფასო კონსულტაციები და კვლევები ხულოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის;
- უფასო კონსულტაციები და კვლევები შუახევის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის;
- უფასო კონსულტაციები და კვლევები ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის;
- უფასო კონსულტაციები და კვლევები ქობულეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის;
- ქ. ბათუმის მოსახლეობისათვის;

სულ კონსულტაციაზე მიღებულ იქნა 1039 პაციენტი და 2362 ლაბორატორიულ-ინსტრუმენტალური კვლევა ჩატარდა.

პერიოდულად გრძელდება უფასო კონსულტაციები და კვლევები ყველა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის.

აღსანიშნავია აგრეთვე კომიტეტის აქტიური ჩართულობა და მონაწილეობა სხვადასხვა სახის ღონისძიებებში, კერძოდ:

- **15.09.2017 -** მე-7 საჯარო სკოლაში, სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით სპეციალიზირებული კლასის აღსაზრდელებთან შეხვედრა და ახალი სასწავლო წლის მილოცვა;
- **29.09.2017** - ბაუ (BAU) ბათუმის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი, გულის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- **29.09.2017 - GEONET EXPO-ს** ორგანიზებით აგრო-სასურსათო პროდუქციისა და ტექნოლოგიების გამოფენა-გაყიდვა;
- **31.10.2017** შეხვედრა ბაუ (BAU) ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებთან.
- **7.11.2017 -** შეხვედრა ბათუმის საპატიო მოქალაქესთან - რამაზ სურმანიძესთან. თემა: კურორტოლოგიის პერსპექტივის მხარდაჭერა აჭარაში;
- **10.11.2017** - ,,შემოდგომის ზეიმი" დღის ცენტრ ,,თანაში".
- **11.11.2017 -** ტრადიციული სახალხო დღესასწაული „ქედელობა-2017“;
- **18.11.2017. -** აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ ორგანიზებული კონფერენცია - „20 წელი საზოგადოებრივ ჯანდაცვასთან“;
- **21.11.2017** - ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. წყავროკა - ადამიანის კეთილდღეობისათვის მოღვაწე საერთაშორისო ასოციაცია ,,ახალი ცხოვრების“ - პრეზენტაცია;
- **22.11.2017** - ავერსის შვილობილი კომპანიის „მედალფა“-ს ამბულატორიული ცენტრის გახსნა მახინჯაურში;
- **24.11.2017 -** ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება ბაუ (BAU) ბათუმის საერთაშორისო ჰოსპიტალსა და ლივ ჰოსპიტალს (Liv-Hospital) შორის;
- **10.11.2017** - საერთაშორისო ორგანიზაცია ,,ევროპის აკადემიური ცენტრი“-ს პროექტი „ევროპარლამენტის მოდელირება საქართველოში“;
- **8.12.2017**-ოფიციალური ვიზიტი პოლონეთის რესპუბლიკაში;
- **14.12.2017** - ,,საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“-ს დისკუსია - საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ანგარიშზე;
- **16-17.12.2017**-აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ჯამრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ნუგზარ სურმანიძე 16-17 დეკემბერს, წყალტუბოში, აჭარის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ ორგანიზებულ , აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით, სამუშაო შეხვედრას დაესწრო;.
- **19.12.2017** - დღის ცენტრ ,,თანა''-ს 10 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი, სპექტაკლი ,,ჩვენ და საქართველო“ ბენეფიციართა მონაწილეობით;
- **23.12.2017**- 23 დეკემბერი საქართველოს მედიცინის მუშაკთა პროფესიული დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- **24.12.2017 -** მე-7 საერთაშორისო სამშენებლო მასალებისა და დეველოპერების გამოფენა-გაყიდვა BATUMI BUILD 2017 - საერთაშორისო საგამოფენო კომპანია GEONIT EXPO“;
- **24.12.2017** - ტრადიციული სახალხო დღესასწაული ,,ტბელობა“;

- **26.12.2017** - აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროსერვისის ცენტრის მიერ ორგანიზებული ღონისძიება „ღვინისა და ყველის ფესტივალი’’;
- **28.02.2018 -** აჭარის ონკოლოგიის სამკურნალო-სამეცნიერო ცენტრში გაიმართა აჭარის ექიმთა გაერთიანებული, სამეცნიერო საზოგადოების (აეგსს) გაფართოებული შეკრება, კლიმატოლოგიისა და ბალნეოლოგიის მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტის, უმბერტო სოლიმენეს აჭარის სამთავრობო სტრუქტურების, უწყებების ხელმძღვანელებებისა და ექიმთა საზოგადოებრივ მხარდამჭერთა მონაწილეობით, რომელიც ეძღვნებოდა აეგსს-ს ფედერაციის წევრად მიღებასა და 2018 წლის ოქტომბერში ფედერაციის მორიგი 71-ე კონგრესის ბათუმში ჩატარებას;
- **14..03.2018** -,,საერთაშორისო გამჭვირვალობა -საქართველოს" - მიერ დაგეგმილი ღონისძიება საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით;
- **02.03.2018** - შეხვედრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ დავით სერგეენკოსთან, სამედიცინო სფეროში არსებული გამოწვევების თაობაზე;
- **21.03.2018** - დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, შშმ პირთა სარეაბილიტაციო ცენტრ „თანას“ აღსაზრდელების ღონისძიება;
- **24.03.2018** - ტუბერკულოზის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- **4.04.2018** - ბიზნეს ფორუმი ‘’BATUMI-WROVLAW”;
- **9.04.2018-** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ნუგზარ სურმანიძემ, ბათუმის ზღვისპირა პარკში, მემორიალურ ქვასთან, საქართველოს თავისუფლებისთვის თავგანწირულთა ხსოვნის პატივსაცემად პატივი მიაგო 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას;
- **11.04.2018-**შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ფურტიოში, ახალი, თანამედროვე სტანდარტების საჯარო სკოლის გახსნის საზეიმო ღონისძიება;
- **21.04.2018** - ქეთევან ნემსაძის წიგნის „დედის სახელმძღვანელო’-ს პრეზენტაცია;
- **22.04.2018-**აუტიზმის ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღეს, მედალფა მახინჯაურის სამედიცინო ცენტრში ბავშვთა და მოზარდთა სარეაბილიტაციო ცენტრი „ნემო“ გაიხსნა;
- **26.04.2018** - სოციალური საწარმოს - „ადამიანები მოქმედებაში“ გახსნა;
- **27.04.2018** - კონფერენცია ,,დაბერება საქართველოში’’ გამოწვევები და პერსპექტივები;
- **9.05.2018-**ბათუმში, გმირთა ხეივანში შეკრებილ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს ფაშიზმზე გამარჯვების დღე მიულოცეს;
- **12.05.2018** - გამოფენა - EXPO BATUMI TRAVEL 2018;
- **19-20.05.2018** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროსერვის ცენტრის პროდუქტების გამოფენა გაყიდვა;
- **1.06.2018-** ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- **7.06.2018**-აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, თავმჯდომარის მოადგილე მერაბ კარანაძე, უმაღლესი საბჭოს წევრები - ნუგზარ სურმანიძე, გიორგი მანველიძე, აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიის (უსკო) მიერ მომზადებული საინფორმაციო-სასწავლო პროექტის - „ჩემი პირველი არჩევნების“ მონაწილეებს შეხვდნენ;
- **14.06.2018** - „საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი”- შშმპ-თა დღის ცენტრ „თანა“-ს ღონისძიება;

- **6.07.2018** - საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის მე-14 საერთაშორისო კონგრესი;
- **24.08.2018-** ღონისძიება „მაღალმთიანი რეგიონების შესახებ“ კანონის მოქმედების შედეგები.

2017 წლის 26 დეკემბერს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან ერთად შობა-ახალი წელი მიულოცა და მატერიალური დახმარება გაუწია ქედის მუნიციპალიტეტის მრავალშვილიან და სოციალურად დაუცველ ოჯახებს;

ასევე 2017 წლის 27 დეკემბერს ბათუმის 70-ე საარჩევნო ოლქის სოციალურად დაუცველ ოჯახებსა და შშმ პირებს გადაეცათ საახალწლო საჩუქრები.

კომიტეტის საზედამხედველო და საკანონმდებლო საქმიანობა

უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში სისტემატურად ახორციელებდა უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობას, უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და მთავრობის საქმიანობის კონტროლს.

კომიტეტი მაქსიმალურ ყურადღებას უთმობდა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების პრიორიტეტების შერჩევას. მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი წინადადებების ერთობლივი ანალიზი, შეჯერება, მათი გათვალისწინება მომავალი და მომდევნო წლების ბიუჯეტში სახელმწიფო პროგრამების შემუშავების მიზნით საქართველოს სახელმწიფოს მიერ დეკლარირებულ პრიორიტეტებთან შესაბამისობაშია და მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება რეგიონის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მაღალი ხარისხის მისაღწევად. ამ მიზნით მომდევნო წლის ბიუჯეტის დამტკიცებამდე კომიტეტის სხდომებზე, სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად განვიხილეთ 2018 წლის სამედიცინო პროგრამების პროექტები და კომიტეტის წევრების მიერ გამოთქმული რეკომენდაციები გაეგზავნა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტის სხდომებზე მოსმენილი იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მისი ქვემდებარე დაწესებულებების ხელმძღვანელთა ინფორმაციები. კერძოდ:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინფორმაცია სამინისტროს 2017 წელს გაწეული მომსახურებისა და 2018 წლის ღონისძიებების შესახებ;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე ყოველკვარტალური ანგარიში (2018 წლის I და II კვარტალი);
- სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ფილიალის უფროსის ინფორმაცია სოციალურად დაუცველი ოჯახების თაობაზე;

- დასაქმების სააგენტოს ხელმძღვანელის ანგარიში მიმდინარე წლის საქმიანობის შესახებ;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელის ინფორმაცია მიმდინარე საქმიანობის შესახებ;

2018 წლის 15 იანვრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დადგენილებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრების ნუგზარ სურმანიძისა და ვახტანგ წულაძის ინიციატივით შევიდა ცვლილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 26 იანვრის №22 დადგენილებაში - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის ამომრჩევლებთან ურთიერთობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“

კომიტეტი აქტიურად მუშაობს საკანონმდებლო ინიციატივებზე. კერძოდ:

1. `შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ~ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე. მიმდინარეობს კონსულტაციები შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან;

2. ,,სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე;

აღსანიშნავია მოსახლეობისაგან მხარდაჭერისა და თანადგომისათვის მიღებული მადლობის ბარათი 42 ადამიანის ხელმოწერით და სხვადასხვა ორგანიზაციებიდან მიღებული მადლობის სიგელები:

- რეაბილიტაციის ცენტრი ,,თანა'' - შეღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დახმარებისათვის;
- სისხლის უსაფრთხოებისა და უანგარო დონორობის რეგულარული მხარდაჭერისათვის შპს ,,ჰემა-2012'';
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვაში შეტანილი წვლილისთვის - ა(ა)იპ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებისათვის სამეთვალყურეო საბჭო;
- ბათუმის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი - პროგრამის ,,მომავალი თაობა'' მხარდაჭერისა და აქტიური მონაწილეობისათვის.